

რე დიალოგი შედგა ლადო პაპავასა და ლადო ბურბენიძეს შორის დახურულ კარს მიღმა

ვინ დაუპირისპირა პრემიერ-მინისტრს
კოვზანაძემ, გოგორიშვილმა და კალანდაძემ

გაზეთი “ვერსია” – 29 თებერვალი – 2 მარტი, № 24, 2008

ბოლო დროს ეკონომიკაში გადადგმული რამდენიმე ნაბიჯი ექსპერტებმა მწვავედ გააკრიტიკეს. პრემიერ-მინისტრმა მათთან დებატებს თავი აარიდა, თუმცა განაცხადა, რომ დისკუსიისთვის მუდამ მზადაა და ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, საპარლამენტო უმრავლესობის ყოფილი წევრი ლადო პაპავა ექსპერტის რანგში საკუთარ კაბინეტში მიიწვია. ცნობილია ისიც, რომ ეს შეხვედრა შედგა. დახურულ კარს მიღმა გამართულ დიალოგსა და სხვა საკითხებზე ლადო პაპავა „ვერსიას“ ესაუბრა:

– იმის გარდა, რასაც საჯაროდ ვამბობ, მისთვის სხვა სათქმელი ნამდვილად არ მქონდა. ყველაფერი უკეთ გასაგები რომ გახდეს, პატარა ისტორიას გიამბობთ: 1994 წელს, ეკონომიკის მინისტრად ახლადდანიშნული ვიყავი, როცა ჩემმა თანაშემწემ ყმაწვილი ლადო გურგენიძე წარმიდგინა, რომელსაც უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული ჰქონდა და ნიუ-იორკში ერთ-ერთ კვლევით ცენტრში მუშაობდა. მას შემდეგ რამდენიმე პროექტზე ვითანამშრომლეთ. თუმცა 2007 წლის 5 ნოემბრამდე მას აღარ შევხვედრივარ. არც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში ჩამოსულს თავად გასჩენია ჩემთან შეხვედრის სურვილი.

შევხვდით რუსთავი 2-ის სტუდიაში, შემდეგ უკვე პარლამენტში პრემიერ-მინისტრის რანგში წარგვიდგინეს, ჩემდა გასაოცრად, არც მაშინ გამოუჩენია ჩემთან ცალკე შეხვედრის ინიციატივა. კარგა ხნის შემდეგ „პრაიმ-ტაიმში“ დაიგეგმა გადაცემა ეკონომიკურ საკითხებზე, რომელიც მთავრობის ინიციატივით ჩაიშალა. ერთი კვირის შემდეგ გურგენიძემ მოითხოვა, სტუდიაში ექსპერტების გარეშე მიეწვიათ. „პრაიმ ტაიმმა“ გადაწყვიტა, ექსპერტები წინასწარ ჩაეწერა, ღია ეთერში კი პრემიერი მარტო დაესვა.

თანაც ცნობილი იყო, რომ ქალბატონი ინგა იტყოდა, რომ ეს ფორმატი პრემიერთან იყო შეთანხმებული. მოკლედ, გადაცემის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ლადო გურგენიძემ დამირეკა და შეხვედრა მეორე დღისთვის დაეთქვიო. სამაგიეროდ, ტელეეთერში განაცხადა – დისკუსიაზე უარს კი არ ვამბობ, არამედ შეხვედრა უკვე დაგეგმილია და საუბარი კაბინეტში შედგებაო. ეს არის მთელი ისტორია. როგორც ჩანს, ათი წლის შემდეგ, ლადო გურგენიძემ მხოლოდ იმიტომ გამოთქვა ჩემთან შეხვედრის სურვილი, რომ ეს ღია ეთერში სათქმელი ჰქონოდა!

– პირადი ურთიერთობის გარდა, რა საკითხები განიხილეთ?

– რკინიგზიდან დაწყებული ყველაფერზე ვისაუბრეთ. სიღარიბე, სტატისტიკა, ევროობლიგაციები, ეროვნული ბანკი. მოკლედ, საათნახევრის განმავლობაში ყველაფერს შევეხეთ. ჩემი სტატუსი ყველაფრის თქმის უფლებას მანიჭებს, ის პრემიერია და, ბუნებრივია, საჯაროდ საუბარი შეზღუდული აქვს. ამდენად, საუბრის დეტალურ შინაარსს ვერ გავახმაურებ. ერთის თქმა კი შემიძლია – არის რამდენიმე საკითხი, რაშიც თურმე თანამოაზრეები ვყოფილვართ, თუმცა ის ჯერ-ჯერობით ამას ხმამაღლა ვერ იძახის, თუმცა არის საკითხები რაშიც ვერ ვთანხმდებით.

– ვერც ერთ საკითხში ვერ დაგარწმუნათ, რომ სწორი ნაბიჯები იდგმება?

– არც ასაკით ვარ პატარა და არც პოლიტიკურად გამოუცდელი. როდესაც რაღაც მოსაზრებას ვამბობ, მილიონჯერ მაქვს აწონილი, ვინ უნდა დამარწმუნოს იმაში, რომ ორჯერ ორი ხუთია. რაც მჯერა, იმას ვამბობ.

– შეგიძლიათ ის მაინც გვითხრათ, როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ, მთავრობის იდეები მართლაც ქვეყნის განვითარებას ემსახურება თუ გარკვეული ჯგუფის ინტერესების ლობირებაა?

– დამრჩა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს არა როგორც სახელმწიფოს, არამედ როგორც უზარმაზარ ფინანსურ კორპორაციას, ისე უყურებს: საიდან რა ფული გამოდნება და როგორ განვითარდება ეკონომიკურად. ამას თავისი პლუსი აქვს, მაგრამ ჩემთვის, თანაც როგორც ეკონომისტისთვის, ჩვენი სამშობლო მხოლოდ ეკონომიკა არ არის. ქვეყნის მართვა უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ ეკონომიკიდან გამომდინარე. პრემიერ

გურგენიძის ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ადრე თუ “საქართველოს ბანკის” სათავეში იყო, ახლა სიტყვა „ბანკი“ ამოვარდა და მხოლოდ “საქართველოს” სათავეში დარჩა. თუმცა მისთვის შინაარსი არ შეცვლილა.

– საკამათო მხოლოდ სიღარიბის პროგრამაში შესული საკითხებია?

– დავაზუსტებ – რაც წარადგინეს, ყველა იმ დოკუმენტს სჯობს, რომელიც უვანიას ან ნოლაიდელის დროს შეუდგენიათ, რადგან მეტი კონკრეტიკაა, მაგრამ ასეთ დოკუმენტებს პროგრამა არ ჰქვია. ყველა იმ მწვავე საკითხს შეეხეთ, რაც აქტუალურია. მაგალითად, არის თუ არა რკინიგზა მწვავე თემა, რომელსაც, არ ვიცი, სიხარბისა თუ სხვა რამის გამო ჰყიდიან? რკინიგზა, უბრალოდ, ტრანსპორტი არ არის საქართველოში, ის ევროპასა და აზიას ერთმანეთთან აკავშირებს. ახლა ის ვთქვათ, ვინ ზღუდავს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და ჩვენი სატრანსპორტო ფუნქციის გაძლიერებას ხელს ვინ უშლის? ვიცით, რომ ეს რუსეთია. მაშინ რატომ უნდა მივცეთ რკინიგზა რუსეთს?

– როდესაც რკინიგზის შესახებ გააკეთეთ განცხადება, აშშ-ს სთხოვეთ, კიდევ ერთხელ დაგვხმარებოდნენ, როგორც ეს მაგისტრალური გაზსადენის შემთხვევაში გააკეთა. ჩვენი ხელისუფლების მიმართ აშშ-ს განწყობა ცნობილია, რატომ ჩათვლიდა ვაშინგტონი საჭიროდ ამ საკითხში ჩარევას და გამოსხაურება თუ მოჰყვა?

– სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე რუსეთმა 30 წლიან მართვაში აიღო სომხეთის რკინიგზა, სახელი შეუცვალა და „სამხრეთ კავკასიის რკინიგზა“ დაარქვა. როდესაც მხოლოდ სომხეთის მონაკვეთს ასეთ სახელს არქმევ, როგორც ჩანს, სამხრეთ კავკასიური რკინიგზის შექმნა მართლაც იგეგმება. აზერბაიჯანთან კონფლიქტის გამო ამ ორი ქვეყნის დაკავშირება შეუძლებელია, რჩება საქართველო, სადაც რკინიგზის მართვის უფლებით გადაცემის საკითხი უკვე დგას. თუ ასე მოხდა, აფხაზეთის რკინიგზაც გაიხსნება და რუსეთი საბოლოო ჯამში ირანს დაუკავშირდება. აქედან გამომდინარე ჩავთვალე, რომ ეს აშშ-სთვის მნიშვნელოვანი საკითხი იქნებოდა. პირადად ჩემთვის არავის უპასუხია, მაგრამ პრესით გავიგე ინფორმაცია, რომ აშშ-ს რამდენიმე კონგრესმენმა ერთობლივი წერილით მიმართა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელ

კონდოლიზა რაისს და საქართველოს რკინიგზის პრივატიზების შეჩერების საკითხში ჩარევა სთხოვა.

– კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ფოთის ინდუსტრიული ზონაა...

– ამ თემაზე არ გვისაუბრია, რადგან უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია, ყველა კანონი მიღებულია. თუმცა მიმაჩნია, რომ ამისი გაკეთება უდიდესი დანაშაულია ქვეყნის წინაშე. იმაზე ვისაუბრეთ, რაც უშუალოდ ახლა წყდება. მაგალითად, ევროობლიგაციები აიღოს ქვეყანამ თუ არა.

– კრედიტის აღების სხვა საშუალება არ არსებობდა? მსოფლიო ბანკის რომლის დაბალ საპროცენტო განაკვეთზეც სულ ახლახან უარი ვთქვით?

– ხომ გაიყიდა „საქართველოს ბანკის“ აქციები ლონდონის ბირჟაზე – ახლა “საქართველოს” აქციების გაყიდვას აპირებს. ხომ გითხარით, ქვეყანას როგორც უყურებს. სიამოვნებს იყიდუ-გაყიდე, ფინანსური ქაღალდები, ობლიგაციები.

– რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთს, რამდენად ძვირი კრედიტი იქნება?

– დღეს ამერიკაში უკვე ჩამოყალიბებული ფინანსური კრიზისია, რომელიც უკვე ევროპაშიც ვრცელდება, მათ შორის საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთშიც, რაც დიდი ხნის წინ დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მსოფლიოს წამყვანმა ექსპერტებმა დაადასტურეს. რატომ უნდა იყიდოს ვინმემ საქართველოს ფასიანი ქაღალდები? კრიზისების დროს ერთადერთ მომხიბვლელობად მაღალი საპროცენტო განაკვეთი რჩება. დღეს ევროობლიგაციების გამოშვება ნიშნავს, რომ აღმოდებულ სახელში შეხვიდე საცხოვრებლად.

– ამ თანხით გაზსაცავისა და გადამცემი ხაზების მშენებლობა იგეგმება...

– რამდენადაც ვიცი, გაზსაცავისა მშენებლობის პროექტი არ არსებობს და ისიც კი არ არის განსაზღვრული, საქართველოში სად არის შესაძლებელი გაზსაცავის აშენება. არ გახსოვთ, რამდენიმე ხნის წინ ზღაპრებს რომ გვიყვებოდნენ, ატომური ელექტროსადგური უნდა ავაშენოთო, გადაიფიქრეს ფრანგებმა და ახლა გაზსაცავი უნდა ავაშენოთ? ან „ენერგოპროზე“ საერთოდ

არ მინდა ლაპარაკი, საერთოდ რა არის და ვისია, მგონი, მხოლოდ იმან იცის, ვინც ამ კომპანიაშია.

– აბა, სიღარიბე როგორ უნდა დაეძლიოთ?

– დიდი თემაა, სასაუბროდ დრო არ გვეყოფა, მაგრამ შეგვიძლია, რამდენიმე კურიოზზე მაინც ვიმხიარულოთ. სამთავრობო დოკუმენტს ჰქვია საქართველო სიღარიბის გარეშე ანუ ეს ნიშნავს, რომ სიღარიბე აღარ იარსებებს. როგორც კი გადაშლით დოკუმენტს, წერია, რომ საგრძნობლად შემცირდება სიღარიბე ანუ სიღარიბე მაინც გვრჩება. ახლა იმას წავიკითხავთ როგორ შემცირდება – „5 წელიწადში სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა 50 პროცენტი მათი კეთილდღეობის გაუმჯობესების გამო გამოვა ბენეფიციართა სიებიდან“. მეორე 50 ხომ დარჩება? ანუ, თვითონაც არ ამბობენ, რომ სიღარიბე აღარ იქნება... აღარაფერს ვიტყვი, ერთ ქვეთავს ეროვნული კეთილდღეობა რომ ჰქვია, მომდევნო თავს კი ხალხის კეთილდღეობა. ან კიდევ თურმე საქართველომ უარი რომ უნდა თქვას, “ბრტყელი” (?) დახმარების პრაქტიკაზე... ამის შემდეგ გაკეთდა 50 დღიანი გეგმა, რომლის ათვლა 1 იანვარს დაიწყო და 31 მაისს მთავრდება... ყოველივე ეს ჩემს სამშობლოს რომ არ ეხებოდეს, მართლა გულიანად ვიცინებდი, ახლა კი მეტირება. კიდევ კარგი, ეყო პრემიერს გონიერება და ჩემთან ერთად ღია ეთერში არ დაჯდა, თორემ ამაზე რას მიპასუხებდა?

– თქვენი აზრით, ეროვნული ბანკის ფუნქციის დაკნინების რეალური მიზეზი რა არის?

– ფინანსურ კორპორაციაში დამოუკიდებელი ბანკის ადგილი ალბათ არ არის.

– რამდენად არის გურგენიძე ბენდუქიძის პოლიტიკის გამგრძელებელი?

– როდესაც გურგენიძეს ვუთხარი, რომ ბენდუქიძის ფიგურა არა მხოლოდ მისთვის, არამედ პრეზიდენტის იმიჯისთვისაც წამგებიანი იყოს, მიპასუხა, რომ ის ბენდუქიძის იდეოლოგიური გაგრძელებაა და მას მოვალეობის შესრულებას უმსუბუქებს.

– უკვე გამოჩნდა, რომ ბენდუქიძესთან დამშვიდობებას არც მთავრობისა და არც ქვეყნის პრეზიდენტი არ აპირებს. როგორ ფიქრობთ, ბენდუქიძეს რატომ ვერ ელევინან?

– ბევრი რამის გამო. როცა დაბალი ინტელექტუალური პოტენციალის მინისტრები გყავს მთავრობაში და პროფესიულ საკითხებზე საერთოდ არ შეუძლიათ საუბარი, ამ ფონზე კახა ბენდუქიძე ხსნაა, მთავრობას ვინმემ რამე ხომ უნდა მოუმზადოს! იდეები ვინმეს ხომ უნდა მოუვიდეს, ასეთები კი ბენდუქიძის გარდა არც აღრე იყო ჩვენს მთავრობაში და მით უმეტეს, არც დღეს არიან. ამის გარდა ალბათ სჭირდებათ მისი ფორმალური თუ არაფორმალური კავშირები რუსეთთან. არ ვიცი სხვა რა ახსნა მოვებნო, ღმერთმა სიკეთეში მოახმაროთ, მაგრამ ფაქტია ამ “სიკეთით” საქართველოს ანგრევენ.

– ბოლო დროს თვით უმრავლესობაშიც რაღაც გადაჯგუფებები შეინიშნება. ამბობენ, ლადო გურგენიძის პოლიტიკას გარკვეული სახელისუფლო ბიზნესწრეებიც ეწინააღმდეგებიან. რომ ინაიშვილი თავისი პალატის ბიზნესმენებიანად გურგენიძის ბანაკში გადაბარგდა, გარკვეული ნაწილი ბეჟუაშვილების თანამოაზრეა, ზოგი კი ფადი ასლისთან ერთად ახალ კოალიციას ქმნის და არვინ იცის ვის მიემხრობა...

– ასეთი ინფორმაცია არც უმრავლესობაში ყოფნის დროს ვიცოდი და იქიდან წამოსვლის შემდეგ მით უმეტეს, თუმცა ეროვნულ ბანკთან მიმართებაში ასეთი პოლიტიკური სურათი გამოიკვეთა. უმრავლესობიდან სამი კომიტეტის ხელმძღვანელი – ირაკლი კოვზანაძე, ხათუნა გოგორიშვილი და ნინო კალანდაძე, მართალია, სხვადასხვა საკითხში, მაგრამ მაინც დაუპირისპირდა მთავრობას. ეს შემთხვევითობა ნამდვილად არ არის და ვეჭვობ, რომ ეს პოზიცია უფრო მაღალ ეშელონებთან არ იყოს შეთანხმებული.

– ანუ სააკაშვილი თავადვე ახალანსებს ამ ყველაფერს?

– ... თუ ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით გურგენიძემ ეს კანონი გაიტანა, ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცებს პარლამენტის უსუსურობას. თუ კოვზანაძეს ადანაშაულებენ, რომ ეროვნული ბანკის მიმართ რაღაც ინტერესები ამოძრავებს, გოგორიშვილსა და კალანდაძესაც ბანკის პრეზიდენტობა უნდათ? აქ უკვე საქმე სხვაგვარადაა. თუ გურგენიძემ თავისი

ჩანაფიქრი ვერ გაიტანა, იგი პოლიტიკურად გაკოტრებულია და რამდენ ხანს დარჩება პრემიერის პოსტზე, ეს უკვე ტექნიკური საკითხია. ამ კვირაში ეს საკითხი არ იხილება და შიდა კულუარული განხილვები მიმდინარეობს. ვნახოთ, რა მოხდება. რასაც გოგორიშვილი-კალანდაძე და კოვზანაძე ამბობენ (კოვზანაძეს მხოლოდ ერთ საკითხში არ ვეთანხმები და ვფიქრობ, ინფლაციის დროს მარტო ეროვნული ბანკის საბჭოს კი არა მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს), მართალია. თუმცა აქ პრინციპული სხვა რამ არის. პარლამენტი რომ სუსტია, ეს გასაგებია, მაგრამ ამ ფონზე ძლიერდება გურგენიძეც. სააკაშვილს ეკონომიკა რომ საერთოდ არ აინტერესებს, ეს როგორც მისი მხოლოდ ქაღალდზე არსებული ეკონომიკური საბჭოს წევრმა ვიცი, მაგრამ აქ სხვა რამ არის – პრემიერი, რომელმაც მოსვლისთანავე დამაგრეველი ძალის მქონე კანონები გაიტანა, სააკაშვილს პოლიტიკურად არ უნდა აწყობდეს, რაც საბედნიეროდ ემთხვევა ქვეყნის ინტერესებსაც...

ღალი ზირაქიშვილი